

რობერტ ფროსტის ლექსის “The Road Not Taken” ინტერპრეტაციის პრობლემა და მისი ქართული თარგმანები

ტექსტის ინტერპრეტაცია თარგმანის საწყისი და მეტად მნიშვნელოვანი ფაზაა, რადგან ამ დროს დაშვებული შეცდომები უარყოფითად აისახება თარგმანის ადეკვატურობაზე. შესაბამისად, ინტერპრეტაციას სათანადო ადგილი უჭირავს თეორეტიკოსების მიერ განსაზღვრულ თარგმანის ეტაპებს შორის. მას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან: იუჯინ ნაიდა, ირჟი ლევი, პიტერ ნიუმარკი, ჯულიან ჰაუსი, ლორენს ვენუტი; ხოლო ქართველ მეცნიერთაგან ინტერპრეტაციას განიხილავენ დალი ფანჯიკიძე, კონსტანტინე ჩარკვიანი, ანა გაცკალია და სხვანი.

იუჯინ ნაიდა თარგმანის შემდეგ ეტაპს გამოყოფდა: ტექსტის ანალიზი, რომელიც მის ინტერპრეტაციას გულისხმობს, რადგან დედნის ღრმა გაგებას, ლინგვისტური და კულტურული ელემენტების დეკომპოზიციას მოიცავს; ტრანსფერი, იგივე გადატანა და რესტრუქტურიზაცია, ანუ სამიზნე ენაზე მისი ხელახლა, ბუნებრივად ჩამოყალიბება (Nida, 1964).

ირჟი ლევი თარგმანის პროცესს ლიტერატურული ანალიზის, ენობრივი ანალიზის, კულტურული კონტექსტის შესწავლის, თარგმანის, ასევე შეფასებისა და რედაქტირების ეტაპებად ჰყოფდა, სადაც პირველი სამი ეტაპი თავისთავად მოიცავს ტექსტის ინტერპრეტაციას (Levý, 1963).

პიტერ ნიუმარკმა ამგვარი ჩამონათვალი შემოგვთავაზა: წაკითხვა და გაგება; ანალიზი (ლექსიკური, გრამატიკული, სტილისტური თავისებურებების იდენტიფიკაცია), წყარო ენიდან სამიზნე ენაზე გადატანა, რესტრუქტურიზაცია (სამიზნე ენაზე ტექსტის გრამატიკული და სტილისტური ადეკვატურობის მიღწევა),

დაბოლოს, გადახედვა და შემოწმება (Newmark, 1988). ჯულიან ჰაუსი ასახელებს ხუთ ეტაპს: სემანტიკური ანალიზი, პრაგმატული ანალიზი, კულტურული ანალიზი, თარგმანის რედაქტირება და საბოლოო გადამოწმება (House, 1997). ლორენს ვენუტი კი ორ ძირითად ეტაპს გამოყოფს: ინტერპრეტაციასა და კომპოზიციას (Venuti, 1995).

რაც შეეხება ქართველ მეცნიერებს, არსებობს კონსტანტინე ჩარკვიანის და ანა გაცკალიას თეორიები. ჩარკვიანი ასახელებს თარგმანის შემდეგ ეტაპებს: ტექსტის შინაარსობრივი ანალიზი, ფორმის შესწავლა, ენობრივი თავისებურებების გამოვლენა, თარგმნის პროცესი და რედაქტირება (ჩარკვიანი, 1984). გაცკალიას თვალსაზრისით კი თარგმანში გამოიყოფა ტექსტის ღრმა შესწავლის, ავტორის სტილის ანალიზის, კულტურული რეალიების გამოვლენის, ადაპტაციისა და საბოლოო რედაქტირების ეტაპები (გაცკალია, 1979).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცნობილი ქართველი მეცნიერისა და მთარგმნელის, დალი ფანჯიკიძის თეორია და მის მიერ განსაზღვრული თარგმანის ფაზები: 1. სათარგმნი მასალის შერჩევა; 2. დედნის შესწავლა; 3. თარგმნის პროცესი. პირველ და მეორე ფაზაში მოიაზრება ტექსტის ინტერპრეტაცია. ტექსტის სწორად გასაგებად, მის უშუალო შესწავლასთან ერთად, სათარგმნად მასალის შერჩევისთანავე მნიშვნელოვანია „დედნის ავტორის მთელი შემოქმედების შესწავლა, მის მსოფლმხედველობაში გარკვევა, სათარგმნი ნაწარმოების შექმნის ისტორიის მოძიება, ამ ნაწარმოების მიმართების დადგენა მწერლის მთელ შემოქმედებასთან და მისი მნიშვნელობისა და ადგილის განსაზღვრა მსოფლიო ლიტერატურის, ან თუნდაც მწერლის მშობლიური ქვეყნის ლიტერატურის კონტექსტში“ (ფანჯიკიძე, 1995).

ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების უგულვებელყოფის თუ სხვა ობიექტური ან სუბიექტური ფაქტორების მიზეზით, არცთუ იშვიათია ნაწარმოების არასწორად ინტერპრეტირებისა და არაადეკვატურად თარგმნის შემთხვევები. ასეთ დროს, სავარაუდოდ, დაბრკოლებად გვევლინება აგრეთვე ადამიანის მსოფლმხედველობა, ინტელექტი, ღირებულებები, რწმენა, იდეოლოგია, მოლოდინი. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმო მოსაზრებას გვთავაზობს ცნობილი გერმანელი

ფილოსოფოსი ჰანს გეორგ გადამერი, რომ ადამიანს, რომელიც ტექსტის გაგებას ცდილობს, ყოველთვის აქვს ვარაუდი. როგორც კი ტექსტში რაიმე საწყისი აზრი იკვეთება, იგი მაშინვე ვარაუდობს, თუ როგორი იქნება ტექსტის საერთო მნიშვნელობა. ამასთან, საწყისი მნიშვნელობა მხოლოდ იმიტომ იკვეთება, რომ იგი ტექსტს კითხულობს გარკვეული მნიშვნელობის მოლოდინით. გაცნობიერება იმისა, რომ წინასწარი ვარაუდი აქვს, რომლის გადასინჯვაც ყოველთვის უწევს, როცა კი ტექსტის მნიშვნელობას ნამდვილად ჩაწვდება, არის სწორედ იმის გაგება, რაც ტექსტშია ნათქვამი (Gadamer, 2004).

ალბათ მსგავს ვარაუდთან გვაქვს საქმე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ამერიკელი პოეტის, ოთხგზის პულიცერის პრემიის ლაურეატის, რობერტ ფროსტის ზოგი ლექსის შემთხვევაში, მაგალითად, როგორებიცაა “The Road Not Taken” („გზა, რომელსაც არ დავადექი“) და “Mending Wall” („კედლის შეკეთება“). კრიტიკოსების აზრით, ეს ნაწარმოებები ამერიკულ ლიტერატურაში ყველაზე არასწორად გაგებულ ლექსებს შორისაა.

ფროსტი, ზოგადად, ცნობილია იმით, რომ მის ნაწარმოებებში ღრმა ფილოსოფიური აზრები მარტივი, ყოველდღიური სცენების მეშვეობით არის გამოხატული. მისი სტილი სადაა, ენა – მარტივი, სასაუბრო, ხოლო პოეტური ფორმები – ტრადიციული. თუმცა ფროსტის ერთი შეხედვით მარტივი და გამჭვირვალე ლექსები ხშირად ღრმა და ორაზროვანია.

ჩვენი განხილვის საგანია ლექსი “The Road Not Taken”, რომელიც სულ ოთხ სტროფს მოიცავს.

პირველ სტროფში აღწერილია, თუ როგორ დგას ლექსის ლირიკული გმირი ორი გზის გასაყარზე შემოდგომის ყვითლად შეფერილ ტყეში და არ იცის, ამ ორიდან რომელ გზას დაადგეს. ჯერ ერთ გზას აკვირდება და გაჰყურებს იქამდე, სადამდეც თვალი მიუწვდება, იმ ადგილამდე, სადაც იგი ბუჩქნარში იკარგება.

Two roads diverged in a yellow wood

And sorry I could not travel both

And be one traveler, long I stood
And looked down one as far as I could
To where it bent in the undergrowth.

მეორე სტროფში მთხრობელი ირჩევს მეორე გზას, რომელიც პირველის მსგავსად ლამაზია და შეიძლება უკეთესიც კი, რადგან ის უფრო ბალახიანი და ნაკლებად გაკვალული ჩანს. თუმცა მთხრობელი მალე აღმოაჩენს, რომ სინამდვილეში ისიც ისეთივე გათელილია, როგორც პირველი გზა.

Then took the other, as just as fair,
And having perhaps the better claim
Because it was grassy and wanted wear
Though as for that the passing there
Had worn them really about the same.

მესამე სტროფში მთხრობელი გვეუბნება, რომ იმ დილით ორივე გზაზე ერთნაირად ეყარა ჩამოცვენილი ფოთლები, რომლებზეც ჯერ არავის დაედგა ფეხი. მას სურს, პირველი გზის გავლა მეორე დღისთვის გადადოს, მაგრამ, რაკილა ერთ გზას დაადგება, ეჭვი ეპარება, რომ უკან მობრუნება შეძლოს.

And both that morning equally lay
In leaves no step had trodden black.
Oh, I kept the first for another day!
Yet knowing how way leads on to way,
I doubted if I should ever come back.

მეოთხე სტროფში ლირიკული გმირი წარმოიდგენს, როგორ მოჰყვება ამ ამბავს მომავალში, როდესაც ამოიხრებს და იტყვის, რომ მან ორ გზას შორის ნაკლებად გაკვალული აირჩია და ამ არჩევანმა განსაზღვრა მისი ცხოვრება.

I shall be telling this with a sigh
Somewhere ages and ages hence:
Two roads diverged in a wood, and I—

I took the one less traveled by,
And that has made all the difference.

ლექსის მთავარი თემა არჩევანის სირთულე და მისი შეუქცევადი ბუნება – ერთის არჩევით ვკარგავთ მეორეს, ასევე ის ფაქტი, რომ ადამიანს გზის არჩევა ფაქტობრივად ალალ ბედზე უწევს. ლექსის შუა ნაწილში პოეტი აღნიშნავს, რომ ორივე გზა „ერთნაირად გათელილი“ იყო და „იმ დილით ერთნაირად იყო დაფარული ფოთლებით“. გამოდის, რომ სინამდვილეში არ არსებობს „ნაკლებად გაკვალული გზა“. ლექსის ბოლოს, ლირიკული გმირი ამბობს, რომ მომავალში ის „ამოხვრით“ მოყვება, თუ როგორ აირჩია „ნაკლებად ნავალი“ გზა, არადა, მკითხველმა უკვე იცის, რომ გზები თითქმის ერთნაირი იყო. აქ იგრძნობა ირონია იმაზე, რომ ადამიანებს ახასიათებთ მითების შეთხზვა საკუთარ ცხოვრებაზე.

ჩვენი აზრით, ლექსის ბოლო სტრიქონებში ნათქვამია, რომ ლირიკული გმირის ცხოვრება განაპირობა იმან, რომ მან უბრალოდ ის გზა აირჩია, რომელიც უფრო საინტერესოდ, ნაკლებად გათელილად ეჩვენა.

განვიხილოთ ლექსის კონტექსტი და შექმნის ისტორია. ცნობილია, რომ “The Road Not Taken” 1915 წელს დაიწერა და პირველად 1916 წელს ფროსტის კრებულში “Mountain Interval” გამოქვეყნდა. საინტერესოა, რომ ფროსტმა ეს ლექსი დაწერა როგორც ხუმრობა თავისი ინგლისელი მეგობრის, ასევე პოეტის, ედვარდ თომასის გამოსაჯავრებლად. ფროსტი და თომასი ხშირად დადიოდნენ ერთად სასეირნოდ და თომასს თურმე ჯერ მარშრუტის არჩევა უჭირდა და შემდგომ მუდამ უკმაყოფილო იყო, რომ სხვა გზით არ წავიდნენ. ლექსის ირონიულ ტონს, სამწუხაროდ, ვერ ჩასწვდა თავად თომასი, მოგვიანებით კი ფროსტმა თავადვე აღიარა, რომ ლექსი საკმაოდ სერიოზულად მიიღეს... მიუხედავად იმისა, რომ იგი ყველანაირად შეეცადა ეჩვენებინა, რომ ხუმრობდა... მეორეს მხრივ, პოეტი თავად ამბობდა, რომ ეს ლექსი ეშმაკური, რთულად მისახვედრი იყო. როგორი ჩანაფიქრიც არ უნდა ჰქონოდა ავტორს, ფაქტია, რომ ლექსი ბევრმა ინდივიდუალიზმის, დამოუკიდებელი

აზროვნებისა და კონფორმიზმის წინააღმდეგ ბრძოლისადმი მიძღვნილი ჰიმნად აღიქვა.

კრიტიკოსი დევიდ ორის აზრით, ეს ლექსი არ არის ინდივიდუალიზმის ქება-დიდება. ეს არის კომენტარი თავის მოტყუებაზე, რომელსაც მაშინ მივმართავთ, როდესაც საკუთარი ცხოვრების ისტორიას ვქმნით. ორი აღნიშნავდა, დანამდვილებით იმასაც კი ვერ ვიტყვით, ლექსის ბოლოს მთხრობელი კმაყოფილებით ამოიოხრებს თუ სინანულითო (www.theatlantic.com).

ვნახოთ, როგორ აისახა განხილული ლექსის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული პრობლემა მის ქართულ თარგმანებში. ჩვენთვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდა ხუთი თარგმანი, რომლებიც შესრულებულია ქარდა ქარდუხის („არ არჩეული გზა“), ნინო დარბაისელის („აურჩეველი სავალი“), გიგი თევზაძის („არარჩეული გზა“), კოტე ყუბანეიშვილისა („გზა რომელიც არ ამოირჩიეს“) და მედეა ზაალიშვილის („არ არჩეული გზა“) მიერ. ჩვენ ამ თარგმანების პოეტურ ღირსებებზე არ ვისაუბრებთ, მათ შევაფასებთ მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად სწორად აქვთ გაგებული და გადმოტანილი მთარგმნელებს ლექსის შინაარსი და ავტორის დამოკიდებულება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ლექსის ბოლო სტროფი.

ქარდა ქარდუხის თარგმანში იგი ასე ჟღერს:

ვიცი რომ დამხრავს სევდა უთქმელი
რომ გავა ხანი, – გზებზე მარჩიელს;
ორად გაიყო ბილიკი მე კი –
ნაკლებ გათელილს შევადგი ფეხი
სხვა ვერაფრით რომ ვერ გავარჩიე.

მოცემულ თარგმანში ისეა წარმოჩენილი, თითქოს ლირიკული გმირი აშკარად ნანობს და განიცდის საკუთარ არჩევანს. მას სევდა ხრავს, თანაც თავს იმართლებს, რომ ეს გზა აირჩია იმის გამო, რომ სხვა ვერ გავარჩია. ვფიქრობთ, „დამხრავს სევდა უთქმელი“ მეტისმეტად დრამატულად, ტრაგიკულად ჟღერს და არ შეესატყვისება დედნისეულ მსუბუქ ირონიას. სავარაუდოდ, ასეთი ინტერპრეტაციისკენ

მთარგმნელს სიტყვამ “a sigh” („ამოოხვრა“) უბიძგა. თუმცა აქვე გავიხსენებთ დევიდ ორის თვალსაზრისს, რომ ძნელი მისახვედრია, თუ რისი გამომხატველია ლირიკული გმირის ამოოხვრა, სინანულის თუ კმაყოფილების.

ორივე სტროფი წინო დარბაისელს შემდეგნაირად აქვს გადმოტანილი:

და ოდესმე, მომავალში, მე სულამომავალი,
ვიცი, ასე დავასრულებ განვლილ გზაზე საუბარს:
აღრე, ტყეში, სადაც ხეა მრავალი და მრავალი,
მე ნაკლებად გათელილი ავირჩიე სავალი,
და შედეგად სწორედ ამან მომიტანა სხვაობა.

თარგმანი, ერთი შეხედვით, ნეიტრალური ჩანს – მთხრობელი არც ნანობს და თითქოს არც აშკარად ამაცობს იმით, რომ ნაკლებად გათელილი გზა აირჩია. თუმცა ამოოხვრის მომენტის და, ზოგადად, ირონიის დაკარგვის გამო მაინც რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ლექსის ლირიკული გმირი თავს იწონებს იმით, რომ ნაკლებად გათელილი გზა აირჩია, რამაც შემდგომში მისი ცხოვრება განსაზღვრა. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს სიტყვა „სწორედ“.

გიგი თევზაძე ასეთ ვერსიას გვთავაზობს:

და ამოოხვრით ვიტყვი, როდესაც
წლების სისრულის ვიგრძნობ რაობას:
მე ავირჩიე ნაკლებ ნავალი,
იმ ორი გზიდან, ტყეში რომ შემხვდა.
და მხოლოდ ამან შექმნა სხვაობა.

აქ ლირიკული გმირი ამოოხვრით ამბობს, რომ ტყეში ორი გზიდან ნაკლებად ნავალი აირჩია „და მხოლოდ ამან შექმნა სხვაობა“. აქ მნიშვნელოვანია სიტყვის „მხოლოდ“ გამოყენება, რომელიც მართებულად უსვამს ხაზს იმას, რომ მთხრობელმა არჩევანი ალაღბედზე გააკეთა – ორივე გზა ერთნაირი იყო და განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ერთ-ერთი გზა ნაკლებად ნავალი ჩანდა. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიცემულ თარგმანში აზრი შეცვლილია მესამე სტროფში: დედანში

ნათქვამია, რომ მთხრობელს მეორე გზაც მოეწონა და მისი გავლა მეორე დღისთვის გადადო, თუმცა გრძნობდა, რომ ამას ვერ მოახერხებდა. თევზაძის თარგმანში კი ლირიკული გმირი ამბობს: „თუმცა, ვიცოდი, ეს გზა ხვალამდე/არ დარჩებოდა უსიერ ტყეში“, რაც გაუგებარია.

კოტე ყუბანეიშვილს მოცემული სტროფი ასე აქვს თარგმნილი:

და ვიმეორებ დღეა თუ ღამე
რომ სანამ მოსვლას სიკვდილის ველი
ორი გზა გადის ამ ტყეში და მე
მივდევ მას რაზეც არ მოსჩანს რამე
და ეს აღმოჩნდა სხვაობა მთელი.

ამ თარგმანში ავტორისეული ირონია შენარჩუნებულია („და ეს აღმოჩნდა სხვაობა მთელი“), თუმცა აზრი შეცვლილია: ნათქვამია, რომ ლექსის ლირიკული გმირი ახლაც, სანამ ცოცხალია, მისდევს არჩეულ ბილიკს, მაშინ როდესაც დედანში იგი განვლილ ცხოვრებას აფასებს. არასწორადაა გადმოტანილი მესამე სტროფის ბოლო ნაწილიც: „ოხ ამ გზას რასაც წავყევი ამ დღეს/თუმც ნაფეხური ნაკლებად ატყვევს/არ ვიხმარ უკან დასაბრუნებლად“. აქედან ისე გამოდის, რომ მთხრობელი უარს ამბობს მის მიერ არჩეული გზით უკან დაბრუნებაზე, რაც სრულიად განსხვავდება დედნის შინაარსისაგან.

რაც შეეხება მედია ზაალიშვილის თარგმანს, მასში ირონიაც არის გადმოცემული და მთლიანი შინაარსიც ძირითადად სწორად არის გაგებული:

არარა დამრჩა მე ოხვრის მეტი,
გაივლის ჟამი და ვიტყვი ბოლოს:
გზა გაიყარა ტყეში და მე კი –
მე ნაკლებ თელილ გზას დავადექი,
მთელი სხვაობა ეს იყო მხოლოდ.

თუმცა წინადადება „არარა დამრჩა მე ოხვრის მეტი“ დედანს გარკვეულწილად დამორბეულია, მაგრამ სინანულის განწყობა არ იქმნება ლექსის ბოლო ტაეპის –

„მთელი სხვაობა ეს იყო მხოლოდ“ – წყალობით, რომელიც პირველ ფრაზას არბილებს, ამსუბუქებს და სახუმარო იერს ანიჭებს. ასევე, აზრი რომლის გადმოცემაც პირველ ტაეპში ვერ მოხერხდა, კომპენსირებულია მეორეში: „გაივლის ჟამი და ვიტყვი ბოლოს“. საერთო ჯამში, მიგვაჩნია, რომ ეს თარგმანი ყველაზე ადეკვატურია.

საბოლოოდ, ზემოთ ჩატარებული შეპირისპირებითი ანალიზი ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ტექსტის, ჩვენს შემთხვევაში ლექსის, სწორად გაგება იმისათვის, რომ მოხერხდეს ავტორის ჩანაფიქრის შენარჩუნება და ნაწარმოების შინაარსის ადეკვატურად გადმოტანა. ვინაიდან თვით ისეთი სადა და გამჭვირვალე, ერთი შეხედვით მარტივი ლექსის ინტერპრეტაციაც კი, როგორცაა რობერტ ფროსტის “The Road Not Taken”, შეიძლება რთული აღმოჩნდეს. მთარგმნელისათვის აუცილებელია გასცდეს ნაწარმოების მიკტოკონტექსტს და კითხვებზე პასუხები მაკროკონტექსტში ეძიოს: გაეცნოს მისი შექმნის ისტორიას, ავტორის მთელს შემოქმედებას, მის მსოფლმხედველობას და სულისკვეთებას.

აღნიშნული ლექსისა და მისი ისტორიის შესწავლამ, რობერტ ფროსტის ამ უაღრესად საინტერესო ნაწარმოების კონოტაციურ და ქვეტექსტურ შრეებში შეღწევის დიდმა სურვილმა, ასევე უკვე არსებული თარგმანების ანალიზმა საკუთარი თარგმანის შესრულებისკენ გვიბიძგა. გთავაზობთ ამ თარგმანს, რომლის შეფასებასაც მკითხველს მივანდობთ, როდესაც იგი გამოქვეყნდება:

არარჩეული გზა

თვისკენ მიხმობდა ტყე ქარვისფერი,
მაგრამ წინ მედო მე, ერთს, გზა ორი.
ჰო, გზა გაიყო და დავიბენი:
ჯერ პირველ ბილიკს გავყევი მზერით,
სანამ შეერწყა ხშირ ბუჩქნარს შორით.
მერე იმ ორი წარმტაცი გზიდან
ამოვირჩიე მეორე, რადგან

ნაკლებ ნავალმა გზამ მიმიზიდა,
თუმცადა პირველს არ სჯობდა დიდად,
მგზავრი არ აკლდა, ჩანს, არცერთ მათგანს.

ფოთლები გზებზე სქლად დაფენილი
კვალს არ იმჩნევდნენ. მე გადავწყვიტე
სხვა დღეს ვწვეოდი კვლავ პირველ ბილიკს,
თუმც გზას გზა მისდევს, მაქვს გამოცდილი,
ვნახავდი განა ძველ ალაგს კიდევ?

გაივლის წლები იმ დილის შემდეგ,
და ოხვრით ვიტყვი სიცოცხლის ბოლოს:
„ტყის გზა გაიყო და მოიმედე
გუმანის, ნაკლებ გაკვალულს ვენდე,
სხვაობა მთელი ეს იყო მხოლოდ“.

ბიბლიოგრაფია

წიგნები

- Frost R., Robert Frost's Poems, Washington Square Press, 1962.
- Gadamer, H.-G. (2004). Truth and Method (J. Weinsheimer & D. G. Marshall, Trans.). Continuum. (Original work published 1960)
- House, Juliane. *Translation Quality Assessment: A Model Revisited*. Tübingen: Gunter Narr, 1997.
- Levý, Jiří. *The Art of Translation*. Amsterdam: John Benjamins, 2011 [1963].
- Newmark, Peter. A Textbook of Translation. London: Prentice Hall, 1988.
- Nida, Eugene A. *Toward a Science of Translating*. Leiden: E.J. Brill, 1964.
- Venuti, Lawrence. The Translator's Invisibility. London: Routledge, 1995.
- გაცკალია ა., მხატვრული თარგმანის პრობლემები. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1979.
- ფანჯიკიძე დ., „ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები“, თბილისი 1995.
- ჩარკვიანი კ., თარგმანის თეორიის საკითხები. თბილისი: მერანი, 1984.

პერიოდული გამოცემები

- 24 საათი, 2013 წელი, # 3412 (219) Weekend
- ლიტერატურული გაზეთი #14 (174) 15-28 ივლისი 2016
- „არილი“, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი. #8 (274) 2018 / აგვისტო

ინტერნეტწყაროები

- Katherine Robinson. “The Road Not Taken”. Our choices are made clear in hindsight. Originally Published: May 27, 2016.
<https://www.poetryfoundation.org/articles/89511/robert-frost-the-road-not-taken>
- Marianne Kuzujanakis, “The Road Not Taken”, Published on September 27, 2015,
<https://kuzujanakis.com/2015/09/27/the-road-not-certain/>
- ნინო დარბაისელი სტრონი - თარგმანი <https://poetry.ge/pages/nino-darbaiseli-stroni/translation/51-robert-frosti-leqsebi>
- რობერტ ფროსტი “არარჩეული გზა” | ბურუსი - BURUSI.
https://r.search.yahoo.com/_ylt=AwrEr50YDAVpMgIAk.ZXNy0A;_ylu=Y29sbwNiZjEEcG9zAzEEdnRpZAMEc2VjA3Ny/RV=2/RE=1763148057/RO=10/RU=https%3a%2f%2fburusi.wordpress.com%2f2019%2f03%2f31%2ffrost%2f/RK=2/RS=O.ETPst.ukYke9jyUmAT2cYTdqw-
- <https://www.theatlantic.com/video/index/555959/robert-frost-road-not-taken/#>